საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/199 "24" დეკემბერი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

„ზოგიერთი მოსამართლისათვის საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის №1/26 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2021 წლის 23 დეკემბერს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში მივლინებულმა მოსამართლე როინ კახიძემ წერილობით აცნობა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების ადგილზე - ქ. ამბროლაურში მას არ გააჩნია საცხოვრებელი ბინა. აღნიშნულის გათვალისწინებით:

1. „ზოგიერთი მოსამართლისათვის საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის №1/26 განკარგულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-15 პუნქტი:

„15. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში:

ა) ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში მივლინებულ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე როინ კახიძეს.".

2. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი